# ცნობის ფურცელი

V წ. ყოველ-დღიური გამოცემა.— ხუთშაბათი, 27 ივლისი 1900 წ. № 1193

**გაზეთი ღირს:** წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

**რედაქცია** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლი № 27.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე. (შუადღითა).

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію „Цновисъ-Пурцели“—„Моамбе“.**

**ტელეფონი № 372.**



ვაუწყებთ მკითხველ საზოგადოებას, რომ გაზეთ

**„ცნობის ფურცლის“**

დაბარება **თვიურად** ან **მეტის ვადით** შეიძლება მხოლოდ თვის **პირველ** რიცხვიდან დამლევამდის.

**კბილის საექიმო კაბინეტი**

**ნ. თ. ხორავასი**

მიიღებს ავადმყოფებს ყოველ-დღე, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე და საღამოს 5 საათ. 8 საათამდე. რაზიეზჟაია, 17, ვორონცოვის მეგლთან. ნ. 10—9


## დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**25 ივლისი**

**პეტერბურგი.** გენერალი მაციევსკი იუწყება, რომ ის ხმა, ვითომც ზაბაიკალში გამოჩნდნენ შეიარაღებული ჩინელნი, მდ. უროვისა და არგუნის ნაპირებზე, ტყუილია.

18 ივლისს სახაროვის რაზმმა მშვიდობიანად გაიარა 120 ვერსი სანსინის ზევით. ჩინელთა ჯარი არ შეხვედრიათ. შეპყრობილია სამხედრო ნავი.

**შანჰაი.** 24 ივლისს ამერიკის ჯარის პოლკოვნიკმა მიიღო კონჯორის მიერ ხელ-მოწერილი და ადგილობრივ შიკრიკის მიერ მოტანილი დეპეშა: „დაუყოვნებლივ დაგვეხმარეთ. პეკინში არ არსებობს არავითარი მთავრობა, გარდა სამხედრო უფროსებისა, რომელთაც გარდაწყვეტილი აქვთ გასწყვიტონ უცხოელნი“.

**შანჰაი,** 23 ივლისი. გენერალი გეზლი თხოულობს საუკეთესო არტილლერიის გამოგზავნას. ადმირალმა ბრიუსმა გამოაცხადა, რომ არა მყავს საკმაო ოფიცრებიო. იაპონიის მზვერავთ აღმოაჩინეს ტიანცზინის სამხრეთ-დასავლეთის მხარეს დიდი ძალა ჩინელთა ლაშქარისა, რომელიც შესდგებოდა ცხენოსან და ქვეითა ჯარისაგან, და მეორე დიდი რაზმი ლუტაუს ახლო, ტიანცზინიდან აღმოსავლეთისაკენ. ლიხუნგჩანგმა ითხოვა ერთი თვით დათხოვნა; ძალიან აალელვა იგი ცზუნგ-ლი-იამენის ორი წევრის სიკვდილით დასჯის ამბის გაგებამ, რომელნიც მეგობრულ განწყობილებაში იყვნენ უცხოელებთან. ისინი შუა გაუპიათ.

**პრეტორია.** ბურების მცირე რაზმები ყოველ მხრიდან აწუხებენ ინგლისელთ. რადგანაც ინგლისელებმა სპრინგიდან უკან დაიწიეს, ბურებმა კვლავ დაიჭირეს ეს ადგილი, რომელიც წარმოადგენს მეტად დიდმნიშვნელოვან პუნქტს აღმოსავლეთ რანდისას, ცნობილს ქვა-ნახშირის სიმდიდრით.

**შანჰაი.** ინგლისელების ელჩმა ჩჟინ-ცზინში დაატუსაღა მდინარის გემები; აქედან ის დასკვნა გამოჰყავთ, რომ ჰსურთ ევროპიელების მოყვანა შანჰაიში. ამბოხება დაიწყო, მაგრამ ბრიტანიის ელჩმა განაცხადა, რომ აზრად არა გვაქვს ევროპიელების წასხმა იანცეზე მდებარე ნავთ-სადგურებიდანაო.

**კაპშტადტი.** გარრისმიტი დანებდა მაკდონალდს, რის გამო მიმოსვლა ნატალთან აღდგენილია. ასტყდა ძლიერი ბრძოლა ელანდსრივერთან 23 ივლისს და 24-ს კიდევ არ იყო გათავებული. დაწვრილებითი ამბავი არ იციან, თუმცა ჰფიქრობენ, რომ გენერლებმა კარრინგტონმა და გამილტონმა მოახერხეს რესტბურგის რაზმის განთავისუფლება.

**კრადოკი.** ფრეიბურგში შაბათს ძლიერი მღელვარება და შიშიანობა იყო. ქალაქის მცველები მოიხმეს. მოდიან მაშველი ჯარები. ყველაფერი მზად არის ბურების დასახვედრად.

**პეტერბურგი.** ბირჟა *), 25 ივლისს. ტფ. სადგილ-მამულო ბანკის $4^1/_2\%$ გირავნ. ფურცლებს ჰყიდულობენ 86 მან., 6%—ქუთაისისას ჰყიდიან $101^1/_2$ მან., 5%—$98^1/_2$ მანეთად.

## სატახტო ქალაქის გაზეთების დეპეშები

« „ტორგოვო პრომიშლ. გაზეთიდან“ პეკინზე გალაშქრების შესახებ. შეერთებულ ჯარების თათბირზე ტიანცზინში უარ-ყოფილ იქმნა წინადადება შესახებ შანჰაი-გუანიდან გალაშქრებისა პეკინზე, რადგანაც აიხსნა, რომ შანჰაიდან გალაშქრებისას შეერთებული ჯარები ორად უნდა გაყოფილიყვნენ, რასაც ცუდი შედეგი მოჰყვებოდა ჯარების სიცოტავის გამო; ამას გარდა ტიანცზინშიაც ცოტა მცველები დარჩებოდნენ. უფრო მეტი ჯარების თავ-მოყრა აუცილებელია პეკინზე საიმედო გალაშქრებისათვის. იაპონიის ჯარები სხვაზე წინ წავლენ; ამ ჯარების მოძრაობასთან ერთად უნდა შეკეთდეს ჩინელებისაგან წამხდარი რკინის გზა. იაპონიის ჯარების სარდლად იაპონელივე გენერალი იქნება. იაპონელებთან ერთად წავლენ რამდენიმე რაზმი სხვა უცხოელებისაც.

ინგლისის გაზეთების მიხედვით კი, პეკინზე გალაშქრების დაგვიანების ერთად-ერთი მიზეზი ყოფილა მთავარ-სარდლის ამორჩევის შესახებ არსებული უთანხმოება. გერმანიის ჟურნალ-გაზეთობა სხვა მიხვეულ-მოხვეულის გზით ცდილობს დაარწმუნოს ევროპა, რომ ამ კითხვის გადაწყვეტა მხოლოდ გერმანელ გენერლის დანიშვნით შეიძლება. ეს მიხვეულ-მოხვეული გზა იმაში მდგომარეობს, რომ გერმანულ გაზეთებში იბეჭდება კორესპონდენციები, რომელნიც არწმუნებენ გერმანელებს, რომ ხსნა მათ ხელშია. სხვათა შორის ერთ გავრცელებულ და გავლენიან გაზეთში დაბეჭდილია კორესპონდენცია პარიზიდან; კორესპონდენტი არწმუნებს მკითხველებს, რომ ფრანგები სრულებით წინააღმდეგი არ იქნებიან, თუ გერმანელ გენერალს ჩაბარდება მთავარ-სარდლობა. «იგივე შეიძლება ითქვასო—ამბობს კორესპონდენტი—სამთა კავშირის წევრებზე. იაპონია თავის მასწავლებლად გერმანიას სთვლის და ამიტომ უთუოდ არც ის იქნება გერმანიის წინააღმდეგი. არც შეერთებული შტატები და არც ინგლისი არას იტყვიან. დარჩა რუსეთი. მაგრამ პეტერბურგში კარგად იციან, რომ გერმანია არ ცდილობს მთავარ-სარდლობის შოვნას, და რომ იგი მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებს მას, თუ ყველა სახელმწიფოების სურვილი იქნება ეს. გარდა ამისა ძნელი დასაჯერებელია, რომ რუსეთს ინგლისელის მთავარ-სარდლობა მოეწონოს. აგრეთვე დაუჯერებელია, რომ ინგლისი დასთანხმდეს რუსის გენერლის მთავარ-სარდლობას».

« ერთი ინგლისელ ჟურნალში დაბეჭდილია ფრიად საინტერესო მისიონერის წერილი უილიამ კლარკისა, «რითია ჩინეთი საშიში»-ს სათაურით. ავტორი ამტკიცებს, რომ ევროპა შეცდარია, როცა იგი თავის ნაწარმოებისთვის ბაზარს ჩინეთში ეძებს. «ჩვენ წარმოდგენილი გვაქვსო—ამბობს ავტორი,—რომ თუ ჩინეთი უზარ-მაზარი და მდიდარი ქვეყანა არის, მას შეუძლიან იყიდოს და მოიხმაროს დიდ-ძალი ნაწარმოები ევროპიელ სახელმწიფოებისა. ეს წმინდა ოცნებაა, ილუზიაა. ოთხი ათასი წლის შექმნილ ზნე-ჩვეულების ერთბაშათ შეცვლა შეუძლებელია. ჩვენ ცივილიზაციის განვითარების საფუძველს გვზომავთ მატერიალურ მოთხოვნილებათა სიმრავლით. ჩვენი ცივილიზაცია დამყარებულია პოლიტიკურ ეკონომიაზე და მატერიალური სიმდიდრის შეძენის სურვილზე, რომელიც გვახარჯვინებს ენერგიას ჩვენი არსებობისათვის აუცილებელ კომფორტისათვის. ჩინეთის ცივილიზაცია კი დამყარებულია თავისებურ ზნეობრივ კულტურაზე, რომელიც იხატება სიმარტივეში და მოთხოვნილებათა სიმცირეში. ამ ხალხს არა აქვს მოთხოვნილება შეიძინოს დასავლეთის ნაწარმოები, და შედეგი ის იქნება, რომ ეს მის გაუნათლებლობას მიეწერის. ჩინეთის მოთხოვნილება

*) ჩვეულებრივი დიდი დეპეშა ბირჟისა ჯერაც არ მოსულა ტფილისში დილის 10 ს. და 15 წ.

განისაზღვრება მათი, რაც მის რკინის გზისათვის, ტელეგრაფისათვის და მიწის სიმდიდრის ექსპლოატაციისათვის იქნება საჭირო. მაგრამ ამასთანავე ჩინეთი დიდ ხიფათს უმზადებს ევროპას, იგი საშინელ რევოლიუციას მოახდენს მთელ მსოფლიო მრეწველობაში. ჩინეთში იმდენი ნახშირია, რომ სხვაგან არსად არ არის; რაც შეეხება რკინისა და სხვა ლითონების რაოდენობას, თითქმის ანგარიშიც შეუძლებელია. აქვე არის მილიონები იაფი მუშებისა, რომელთაც ლოთობა არ იციან, რომელნიც ერთ კვირაზე შეასწავლიან თითქმის ყველა ხელობას და რომელთაც ცოტა ბრინჯის მეტი არა უნდათ-რა. როგორ შეუძლიან დასავლეთს ბრძოლა გაუწიოს ამასთანა მეტოქეს. პასუხი ცხადია: დასავლეთელი მუშა ან უნდა დაიღუპოს, ან ჩინელის მოთხოვნილებამდე უნდა ჩამოვიდეს.

ჯ შანხაიდან დეპეშით იტყობინებიან: პეკინში გამოაცა იმპერატორმა ახალი ბრძანება, რომელშიაც ნაბრძანებია, რომ პროვინციის მმართველებმა გამართონ მოლაპარაკება უცხოელებთან მშვიდობიანობის ჩამოგდების შესახებ. მათ, ბრძანების თანახმად, მინდობილი აქვთ, შეატყობინონ ოფიციალურად უცხოეთის სახელმწიფოებს, რომ მათი ელჩები უვნებლად იმყოფებიან პეკინში და რომ ისინი მძევლებად ჰყავს ჩინეთის მთავრობას, სანამ არ მოხდება შეთანხმება შესახებ ევროპიელების სამხედრო ოპერაციების შეწყვეტისა. გარდა ამისა პროვინციის მმართველებს ევალებათ—დაიცვან თავიანთი პროვინციები უცხოელების შემოსევისაგან, განსაკუთრებით იანცო-კიანგის ჭალა. თუ ეს ბრძანება არ შეასრულა ვინმემ, მას სიკვდილით დასჯა მოელის. ბოლოს ნაბრძანებია არ გაუშვან ჩინეთიდან არც ერთი უცხოელი. ეხლა ჩინეთის სხვა და სხვა ადგილას 2000-ზე მეტი ევროპიელია.

ჯ ლიხუნ-ჩანგის ამალის ერთ წევრთაგანს გამოუცხადებია, რომ ლიხუნჩანგს ისევ მოსვლია სასტიკი ბრძანება დაუყოვნებლივ პეკინში წავიდეს· ლიხუნჩანგი აპირებს წასვლას ნელ-ნელა იანგ-ჩეუმდე, რომელიც «დიდ არხზეა.» აქ იგი გაჩერდება და მოუცდის, თუ როგორ ხასიათს მიიღებენ საქმეები.

როგორც ისმის, მოხსენებაზედ, რომელშიაც ლიხუნჩანგი ითხოვდა ელჩების ტიანცზინში გამოგზავნას, პასუხად ის მოსვლია, რომ, ჩინეთის მთავრობის აზრით, ეს ზომა მეტია, სანამ ლიხუნჩანგი სახელმწიფოებთან მოლაპარაკებას არ გამართავს, როგორც ეს მას უბრძანეს.

# ახალი ამბავი

◆ სათანადო უწყებათა აზრის შესატყობად წარდგენილია მოქალაქობრივი სამსახურის ახალი წესდება, რომელიც ბევრით განირჩევა ეხლა არსებულისაგან. მაგალითად, მინისტრები თვითონვე შეადგენენ თავიანთ სამინისტროების შტატებს იმ ფულების მიხედვით, რომელიც მათ მიეცემა. ჩინების მიღება დამოკიდებული იქნება არა სამსახურის ხანგრძლივობისაგან, არამედ დამსახურებისაგან, ისე—როგორც ორდენების მიღება; ამასთანავე ზოგიერთი ჩინები სრულებით გაუქმებულ იქმნებიან, მაგ, კოლლეჟსკი რეგისტრატორობა, კოლლეჟსკი ასესორობა და კოლლეჟსკი სოვეტნიკობა. საქმეზე გაგზავნილ მოხელეს მიეცემა გზის სახარჯო არა ჩინების მიხედვით (როგორც ეხლა არსებობს), არამედ მხოლოდ მგზავრობის ნამდვილი ღირებულების მიხედვით. ერთი ადგილიდან მეორე ადგილას გადაყვანილ მოხელეს მიეცემა სამგზავრო ხარჯი (ეგრედ წოდებული „პოდიომნიე")იმის მიხედვით, ცოლ-შვილიანია იგი თუ არა. ყველა თანამდებობანი ორად განიყოფებიან: კლასის (რამდენიმე) თანამდებობანი და არა კლასსისა, რომელთათვის აუცილებლად საჭირო იქნება განათლების განსაზღვრული ცენზი. დაარსებულ იქმნებიან ეგრედ წოდებული „მოსამზადებელი" თანამდებობანი, ამ თანამდებობაზე სამსახური შეიძლება არა უმეტეს სამი წლისა; შემდეგ კი აქ მოსამსახურეს ან კლასის თანამდებობა მიეცემა, ან სამსახურიდან დაითხოვენ მას. შეცვლილია აგრეთვე პენსიების დანიშვნის პირობები და სხვ.

◆ რადგანაც განზრახულია **დაუმორჩილონ საფაბრიკო ინსპექციას** ყველა ტიპის სახელოსნო დაწესებულებანი (აქამდის საფაბრიკო ინსპექციას ექვემდებარებოდნენ დიდრონი ფაბრიკები და ქარხნები), ფინანსთა სამინისტრომ მოსთხოვა სახაზინო პალატებს შეჰკრიბონ თავ-თავიანთ რაიონებში დაწვრილებითი ცნობები ყველა სახელოსნო დაწესებულებების შესახებ.

◆ გუშინ წინ ღამის 2 საათზე, მადათოვის კუნძულზე, ხუროებში, **ცეცხლი** გაუჩნდა როსტომ გძელიშვილის ხე-ტყის ქარხანას და სრულიად გადაიწვა. ცეცხლის მქრობმა რაზმმა ვერა უშველა რა ამ ქარხანას, მაგრამ სხვები გადაარჩინა. ზარალი 200 თუმნამდე იქნება. როგორც გადმოგვცეს, ხუროები დაზარალებულ გძელიშვილის სასარგებლოდ ფულს აგროვებენ, რათა შეძლება მისცენ მას ხელახლად მოაწყოს ქარხანა.

◆ როგორც მკითხველებმა უწყიან, **ახალქალაქის მიწის ძვრასაგან** დაზარალებულთ შემოწირული ფულებიდან, სხვათა შორის, სახლები უნდა აუშენონ, მხოლოდ მცხოვრებლებმა მასალა უნდა მიზიდონ და იმუშაონ. როგორც იწერებიან, ბევრი ამ დაზარალებულთაგანი უარს ამბობს მუშაობაზე: „არ გვინდა ჩვენ თქვენი სახლები, არ მოვიტანთ მასალას და არ ვიმუშავებთ; თუ გინდათ, თქვენ თვითონ ააშენეთ, ან არა და მოგვეცით ფულები და ისე მოვეწყობით, როგორც ჩვენ გვინდაო", გაიძახიან დაზარალებული სოფლელები.

◆ შინაგან საქმეთა სამინისტროს განზრახვა აქვს შემოიღოს **ქალაქის საქმეთა სამმართველოებში** (присудствіе) თანამდებობა „აუცილებელი" (непремѣнный) წევრისა, რომელსაც იგივე უფლებანი ექნება, რაც ხსენებული დაწესებულების სხვა წევრებს და სხვა-და-სხვა უწყების წარმომადგენლებს.

◆ როგორც ბერლინიდან ატყობინებენ „ივერიას", თავ. ი. გ. ჭავჭავაძე ამ ჟამად უკეთ იმყოფება თურმე. მკურნალს ლეიდენს გაუსინჯავს იგი და ის აზრი გამოუთქვამს, რომ შინაგანი ორგანოები სრულიად საღი და უვნებელი აქვს [illegible]. მაინც ყოველ დღე სინჯავს, თვალ-ყურს ადევნებს თურმე და კმაყოფილია მისი მდგომარეობით. ამ ერთის კვირის წინად ბ-ნს ლეიდენს თავ. ი. გრ. ჭავჭავაძე კარლსბადში გაუგზავნია იქაურ ჰავითა და წყლებით სამკურნალოდ.

◆ ძამის ხეობისაკენ, როგორც იტყობინებიან, წელს უფრო მეტი სიმინდი უთესიათ და ჯერ-ჯერობით კარგი სიმინდიც არის. გაზაფხულის სეტყვა აქეთკენ ყველგან ერთნაირი არ ყოფილა: ზოგან ყანები სრულებით დაფარული იყო სეტყვით, პურისა და სიმინდის მაგიერ ბალახი ამოვიდა. ზოგან ყანები წყალში იყო,—აქ კი პური კაცის სიმაღლეზე გაიზარდა. ქარელის სოფლის მამასახლისმა შეადგინა იმ პირების სია, რომელნიც სეტყვისაგან დაზარალდნენ, და სამაზრო სამმართველოში გაგზავნა, მაგრამ ჯერ იქიდან პასუხი არ მოსულა. საჭიროა, ადგილობრივმა მემამულეებმა ყურადღება მიაქციონ გლეხების გაჭირვებულ მდგომარეობას იმით მაინც, რომ წელს ნუ მოსთხოვენ ჩვეულებრივ გადასახადს იმ მიწაზედ (დღიურზე 14 ჩანახი, ან 5 ფუთი და და 10 გირვანქა), რომელსაც წელს გლეხისათვის თივის მეტი არა მიუცია-რა.

საჭიროა აგრეთვე მიექცეს ყურადღება ჩანახის სიდიდეს: ძველებური ქართული ჩანახი უდრის წონით 25 გირვანქას, მემამულეები კი გორის მაზრის ზოგიერთ ადგილებში იღებენ არა ამ ჩვეულებრივ ჩანახს, არამედ 30—31 გირვანქიან ჩანახს.

◆ ქალაქ თელავიდგან გვწერენ, რომ თელავის განაპირა ნაწილის, მაწანწარის, რამდენიმე ოჯახი წასულა 15 ივლისს საღამოთი ტყის პირას მინდორზე ჩაის დასალევად. დაულევიათ ჩაი და გაუსეირნიათ ტყისაკენ. ერთ მათგანს კი ხარაზის ცოლს პატარა 4 წლის ბავშვი სამოვართან გაუშვია. სეირნობიდან რომ დაბრუნებულან, ბალღი იქ აღარ დახვედრიათ. დაუწყვიათ ძებნა; ამასობაში დაღამებულა კიდეც, მაგრამ ძებნა არ შეუწყვეტიათ და ახლა სანთლებით და ფარნებით მოუვლიათ მთელი უბანი, მაგრამ მაინც ვერ მიუგნიათ ვერც ბავშვისათვის და ვერც კვალისათვის. დადარდიანებულნი დაბრუნებულან შინ და მაშინვე უცნობებიათ ბავშვის მამისათვის და ხალხისათვისაც. მეორე დღეს, დილით, თელავის სახელმწიფო ტყის მცველი სუხიტაშვილი წასულა ტყის გასასინჯად. თელავს რომ გასცილებია, 8—10 ვერსის სიშორეზე ჯვარპატიოსნის იქით დაუნახავს პატარა ბალღი ქვაზე ჩამომჯდარი. მაშინვე მისულა, აუყვანია და წამოუყვანია შინ. შინ დედას რომ უკითხავს, ვინ წაგიყვანა ან სად გეძინაო, ბავშვს უპასუხნია: „სამი ძია მოვიდა წუხელი, ხილი მაჭამეს და წამიყვანესო, ღამე იმათ ხელზე მეძინა, დილით კიდევ, ეს ძია რომ დაინახეს, ისინი მაშინვე წავიდნენო." საკვირველია და საინტერესო, ვინ იყვნენ ეს ვაჟბატონები და ან რა მიზნით წაიყვანეს პატარა ბალღი ტყეში.

◆ როგორც ხმა დადის, **შორაპნის მაზრის უფროსად** ინიშნება პოლკოვნიკი სუშჩინსკი.

◆ ბ-ნ რობის რწმუნებულს ინჟენერ პლაშს მიუმართავს ფოსტის უფროსისათვის თხოვნით, რათა გაყვანილ იქმნას **ტელეფონის მავთული „განდეგილზე"**, სადაც ეხლა თეატრსა და ფუნიკულერის სადგურს აშენებენ.

◆ განზრახვა აქვთ პეტერბურგის საექიმო აკადემიასთან დაარსონ **კბილის საექიმო კურსები** ექიმთათვის. კურსების პროექტის შედგენას უკვე შესდგომიან.

◆ განათლების სამინისტროს განზრახვა აქვს, რაც შეიძლება კარგად მოაწყოს ოდესის უნივერსიტეტის **საექიმო ფაკულტეტის**

კლინიკები. ამ განზრახვის სისრულეში მოსაყვანად, სამინისტრო, სხვათა შორის, ჰგზავნის საზღვარგარედ ამ ფაკულტეტის დეკანს პროფესსორს პოდვისოცკის, რათა იგი გაეცნოს უცხოეთის უნივერსიტეტების საუკეთესო კლინიკების მოწყობილობას.

✦ სიღნაღის მაზრის სოფელ კუკურიანის მცხოვრებს სიმონ ზაალის ძე კოკოზაშვილს მოჰქონდა ტფილისის ვაჭარ უსიპოვისათვის კახეთიდან ღვინოები და როცა კოკოზაშვილი სამშაბათს, 25 ივლისს, ნაშუადღევის $5^1/_2$ საათზე, პოლიციის მე-8 ნაწილში, არსენალის დაღმართში, დაეშვა, ველარ შეიკავა ასი ფუთიან სიმძიმით დატვირთულ ფურგუნში შებმული ოთხი ცხენი, გადმოვარდა ფურგუნიდან, ჩავარდა თვლებს ქვეშ, რომელმაც გასრისა საბრალო კოკოზაშვილი. საწყალს კოკოზაშვილს, როგორც გამოძიებიდან სჩანს, ეს უბედურება თავისივე გაუფრთხილებლობით დამართნია. გარდაცვალებულის გვამი მიხეილის სამკურნალოში იქმნა გაგზავნილი.

✦ ოთხშაბათს, 26 ივლისს, პოლიციის მესამე ნაწილში გამოაცხადა ქალაქ თელავის მცხოვრებმა ისაკ მიხეილის-ძე გონიევმა, რომ მის შინ არ ყოფნის დროს ვიღაც ბოროტ-განმზრახველს მოუპარავს მისთვის ზინგერის ფირმის მაშინა № 14697978. ქურდი ჯერ ვერ აღმოუჩენიათ.

# დარიგება

როგორ უნდა მოხდეს სასოფლო მეურნეობის შესახებ ცნობების შეკრება.

### საგნები, რომელთ შესახებ იკრიბება ცნობები

ცნობები უნდა შეიკრიბოს იმ მცენარეთა შესახებ, რომლებიც უფრო გავრცელებულია თქვენში.

ქვემოდ მოყვანილია სახელები ზოგიერთა მცენარეთა. უმჯობესი იქმნება, რომ ამ სიაში მოყვანილ მცენარეთა შორის აირჩიონ ისეთნი, რომელთაც მეურნეობისთვის დიდი მნიშვნელობა აქვთ და მათ შესახებ მოიკრიბოს ცნობა.

### სია მცენარეებისა.

1) სულადი: ხორბალი, ქერი, ჭვავი, სიმინდი, ბრინჯი, ღომი, ფეტვი, შვრია.

2) ცერცვეული: ლობიო, ცერცვი, მუხუდო.

3) ზეთეული მცენარენი: კუნჯუთი, სელი, მზე-უჭვრიტა.

4) ბოსტნეული: კარტოფილი, ჭარხალი, ნესვი, საზამთრო.

5) ბამბა: თამბაქო, ჩაი.

6) ხილეული: ყურძენი, ვაშლი, მსხალი, ატამი.

7) საქონლის საკვები: ბალახი დათესილი და მინდვრის; უგრეხელი.

იმ ფურცლებში, რომელნიც ბიურომ დაარიგა, ყველა აქ ჩამოთვლილი მცენარე არ არის მოხსენებული უადგილობისა გამო, მაგ., სრულებით არ არიან მოხსენებულნი მცენარენი, რომელთაც წამლებად ხმარობენ.

ფურცლებში უნდა წაიშალოს ის მცენარე, რომელიც არ მოიპოვება ამა და ამ ალაგას და მის მაგიერად ჩაიწეროს ის მცენარე, რომელსაც დიდი ეკონომიური მნიშვნელობა აქვს.

სასურველია, რომ ცნობები შეიკრიბოს აგრეთვე სამეურნეო საქონლისა და ცხოველთა შესახებაც; მაგ., სხვილ და წვრილ საქონელზე, ფუტკრებსა და ყაჭის ჭიის შესახებ და სხვ.

### რამდენი ადგილის შესახებ იკრიბება ცნობა.

კარგი იქნება, რომ ცნობები იკრიბებოდეს როგორც ერთი მამულის შესახებ, აგრეთვე მთელი სოფლისა და, თუ შეიძლება, შესახებ რამდენიმე სოფლის ერთადაც. როდესაც იკრიბება საზოგადო და საერთო ცნობანი მთელის სოფლის შესახებ, მაშინ უნდა თვალყური ადევნონ, რამდენადაც კი შეიძლება, ყველა ყანებს, ბაღებს, ვენახებს, მინდვრებს და სხვ., რაიც იმ სოფელს ეკუთვნის.

ყოველ თვისთვის თითო ფურცელი ეგზავნება ბ-ნთ კორრესპონდენტებს. იმ ადგილას, სადაც სწერია რამდენი ადგილის შესახებ იკრიბება ცნობა, უნდა დაიწეროს სახელი იმ მამულის ან სოფლის, რომლის შესახებ იკრიბება ცნობა.

თუ რამდენისამე სოფლის შესახებ იკრიბება ცნობა, მაშინ იმდენი ფურცელი უნდა მოანდომონ, რამდენი სოფელიც არის.

### როდის იკრიბება ცნობა

იმის გამოსარკვევად, თუ რა მდგომარეობაშია მცენარე ან რა პირი უჩანს მოსავალს, თვეში ორჯელ უნდა ადევნონ თვალ-ყური პურის ყანას, ვენახებს, მინდვრებს და სხვ. ყოველ 15 დღის განმავლობაში ერთხელ, ესე იგი 15 და 30 რიცხვებში თვითეულ თვისა.

### რის შესახებ იკრიბება ცნობები

#### ა) რა მდგომარეობაში არის მცენარე

ზემოდ მოხსენებულ რიცხვებში ყოველთვის უნდა დაათვალიერონ მთლად ის ადგილი, სადაც დათესილია მცენარე, პური, სიმინდი და სხვა. დაწვრილებით უნდა გაისინჯოს როგორც შუა ნაწილი დათესილის ალაგისა, აგრეთვე გვერდებზედაც.

იმის დასახასიათებლად, თუ რა მდგომარეობაშია მცენარე, შემოღებულია შემდეგი ციფრები: 5, 4, 3, 2, 1, 0.

თუ მთლად დათესილი ადგილი ყველა კუთხეებში მშვენიერ მდგომარეობაშია, მაშინ უნდა დაუსვათ ნიშანი—5; თუ საზოგადოდ კარგია, მაშინ დაუსვით—4; 3 ნიშნავს იმას, რომ დათესილის მდგომარეობა საშუალო არის; თუ იმისი მდგომარეობა ცუდია, უნდა დასვათ 2, თუ ძალიან ცუდი—1 და თუ დათესილი სულ დაიღუპა, მაშინ დასვამთ—0.

ამ რიგად, ციფირი 3 ნიშნავს საშუალო მდგომარეობას, ესე იგი მცენარეებისა, ვენახებისა და სხვათა იმნაირ მდგომარეობას, როგორიც ყოველ-წლივ არის ხოლმე იმ ადგილებში.

ციფირი—2 უნდა დაუსვათ მაშინ, თუ სიცივეებისა, ყინვებისა, სეტყვისა და სხვა მიზეზებისა გამო მცენარე ვერ არის ღონიერი, წვება, უდროვოდ ყვითლდება და ამის გამო მოსავალს უფრო ცუდი პირი უჩანს, ვიდრე ჩვეულებრივად არის ხოლმე.

თუ ზემო-ხსენებულის მიზეზებისა გამო მოსავალს იმდენად ცუდი პირი უჩანს, რომ იმედი აღარ არის მოიკრიბოს რამე, მაშინ უნდა დაუსვათ ნიშნები—1 ან 0.

ნიშნები 4 და 5 ნიშნავენ, რომ მოსავლის პირი უფრო კარგია, ვიდრე ჩვეულებრივად იცის.

#### ბ) რამდენი დაითესა და რა შესდგა მოსავალი.

თუ ვინიცობაა, დესეტინებზედ არ ანგარიშობს კორრესპონდენტი, არამედ დღიურზედ, ქცევაზედ და სხვ. და ფუთის მაგივრად ჩანახებსა და კოდებს ხმარობს, მაშინ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რა ზომებსა და წონას ხმარობენ, რომ ანგარიშის დროს ბიურომ იცოდეს, რა იგულისხმოს.

#### გ) როდის დაითესა, როდის დაყვავილდა და როდის მოიკრიბა მოსავალი.

რადგანაც არც თესვა, არც დაყვავილება და არც მოსავლის მოკრება ერთბაშად არ ხდება მთელს რაიონში, ამიტომ აღებულ უნდა იქმნას დაახლოვებითი საშუალო დრო. ამისათვის საჭიროა აღინიშნოს:

ა. 1) დღე, როცა თესვა დაიწყო და 2) დღე, როცა გათავდა.

ბ. 1) დღე, როცა პირველი ყვავილი გამოვიდა და 2) დღე, როცა უკანასკნელი ყვავილი ჩამოვარდა.

თუ ჩვენ თესვის დაწყებისა და გათავების დღეების საშუალო დღეს ავიღებთ, ეს იქნება თესვის საშუალო დღე. მაგალითად, 12 ოქტომბერს დაიწყო თესვა, გათავდა 24-ს, თესვის საშუალო დღე 18 ოქტომბერს.

### ფურცელი

თვითეული ბლანკი ერთი თვისა არის. ბლანკზე—იმ სტრიქონში, სადაც ადგილია აღნიშნული—უნდა დაწვრილებით და გარკვევით დაიწეროს სოფლის, კერძო მამულის და სხ. სახელი, აგრეთვე შემდეგ სიტყვებისა „გუბერნია“ „მაზრა“ შესაფერი სახელები უნდა ჩაიწეროს იმ სტრიქონში, სადაც სწერია „თვის... 190...“ უთუოდ ჩაუწეროს თვე და წელი.

### ფურცლის გამოგზავნა

ბლანკები ყოველი თვის გასულს უნდა გამოიგზავნოს ტფილისში, კავკასიის სამეურნეო საზოგადოების ბიუროში სტატისტიკის.

ფურცელი გამოსაგზავნი უნდა ისე დაკეცოთ, რომ ქაღალდის პირები ერთი მეორეში იყოს ჩადებული, ე. ი. ისე, როგორც აფთიაქებში ქინას და სხვა პარაშოკებს ახვევენ ქაღალდში.

გამოსაგზავნად მომზადებულ ფურცელს ზედ დააკარით ორ კაპიკიანი მარკა, რასაც თვით ბიურო გიგზავნით. თუ ვინცობაა მარკის გამოგზავნა დაუკლია ბიუროს, მაშინ უმარკოდ გამოგზავნეთ ფურცელი.

# საღამოს დეპეშები

26 ივლისი

**პეტერბურგი.** გენერალი ორლოვი იტყობინება 22 ივლისს, რომ მათ აიღეს ხაილარი, სადაც იპოვნეს ბევრი ფქვილი, შვრია და სხვა სურსათი. აუღიათ აგრეთვე ოთხი დროშა, სასროლი სურსათი, პატრონები და თოფები.

უმაღლესი ბრძანება: სომეხ-გრიგორიანთა ეპისკოპოსი ქარნეკერიანცი დაინიშნა ყარაბაღის სომეხ-გრიგორიანთა ეპარქიის უფროსად.

დროებითი მმართველი გარეშე საქმეთა სამინისტროსი გრაფი ლამსდორფი დაინიშნა მმართველად ამავე სამინისტროსი.

**ბრიუსელი.** ბელგიის კონსული შანჰაიში იუწყება, რომ ლიპინხენი, რომლის პეკინში ყოფნაც ძალიან საშიშრად ითვლებოდა, გამოვიდა პეკინიდან რკინის გზის ლიანდაგის დასაცველად პეკინიდან—ხანკოუმდე, რომელზედაც იაპონელნი აპი-

რებდნენ დაცემას პაონგთიფუს ახლოს, რათა ჩინელთ ველარ შეიძლონ უკან დახევა.

ამერიკელმა ადმირალმა მიიღო ბრძანება, რომ ექსპედიციაში მიიღოს მონაწილეობა 300 ზღვაოსნით.

**ლონდონი.** ვულვიჩში გაიგზავნა ბრძანება, რომ სამხედრო მასალა ბლომად იქონიონ მზად.

პრიტჩარდ-მორგანი დეპეშით სთხოვს ლიხუნჩანგს ისარგებლოს თავის გავლენით და მოახერხოს, რომ ევროპიის ჯარები პეკინში შეუშვან, აგრეთვე პეკინიდან ევროპიელნი წაიყვანონ ტიაცზინში და იქიდან გამართონ მოლაპარაკება. ლიხუნჩანგმა უპასუხა, რომ ეს შეუძლებელია. და თუ მოკავშირეთა ჯარები წინ სვლას განაგრძობენ, მაშინ ჩინებები ომს დაიწყობენ.

შანჰაიდან იტყობინებიან, რომ ელჩები და სხვა ევროპიელნი 20 ივლისს, დარაჯთა საშუალებით, პეკინიდან შანჰაიში წავიდნენ.

**ვაშინგტონი.** გენ. ჩაფფისაგან ტიანცზინიდან 21 ივლისს მოვიდა შემდეგი დეპეშა: „დღეს გადაწყვიტეს კვირას დაიწყონ ბრძოლა. ჩინელები პეკინში და მის აღმოსავლეთ და დასავლეთ მიდამოებში გამაგრდნენ, დანარჩენი ჩინელები გაამაგრა წყალდიდობამ ისე, რომ მისვლა მათ ადგილებში ყოვლად შეუძლებელია. იაპონელები, ინგლისელები და ამერიკელები, 10000 კაცით თავს დაეცნენ ჩინეთის ჯარის მარჯვენა ფრთას მდინარიდან დასავლეთით. მათ ჰშველოდნენ სხვა მოკავშირეთა ჯარებიც. ფრანგები და რუსები იბრძოდნენ მდინარისა და რკინის გზის შუა ადგილებში. ექვს გარეშეა, ჩინელებს გამაგრებული პოზიცია აქვთ.

ჩინეთის ჯარი, რომელიც, ამბობენ, 30000 კაცისაგან შესდგება, პეიცზინის და იანდუნის შუა დგას, და ეს ჯარი იანცზუნში მიდის. ამერიკის ჯარი 2000 კაცისა და ერთი ბატარეისაგან შესდგება. კავალერიის მეექვსე პოლკი ტიანცზინში იმყოფება ქალაქის სადარაჯოთ, ვიდრე ცხენები მოუვა."

### პეტერბურგის ბირჟა 25 ივლისს

| | მყიდველნი | გამყიდველნი | გაყიდული |
|---|---|---|---|
| | მ ი | ნ ი | თ ი |
| 4% სახელმწიფო რენტა. . . . | 97 | — | — |
| 4½% შინაგანი სესხი 1893 წ. | — | 100 | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ.-მამ. ბანკისა. . | — | 97²/₄ | — |
| 5% 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.. | 318½ | — | — |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.. | — | — | 271 |
| 5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა . . . . . | 207½ | — | — |
| 3½% გირავ. ფურ. იმავე ბანკისა. . | — | 89 | — |
| ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურცლ.. | — | — | — |
| 4½% გირავნობ. ფურცლ. იმავე ბანკისა . . . . | 86 | — | — |
| ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის 6% გირ. ფურცლ. . . . | — | 101½ | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა... | — | 98½ | — |
| 5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ. . . | 97½ | — | — |
| 4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა .. . . | — | 87 | — |

დრ. რედ. **ალ. ჯაბადარი**

## გამოსადეგი ცნობანი

### ნიხრი

ხორცი ძროხისა . 1 გ. 8½ კ.
სუკი . . . . . . › — 15 კ.
› ცხვრისა . . . › — 8½ კ.
› ღორისა . . . 1 — 8 კ.
› კამეჩისა › › › — 8 კ.
› ღორის ბარკალი სალორეთი . 1 › —10 კ.
(ძროხისა და ცხვრის ხორცს იის ფერი ბეჭედი ადევს, კამეჩს—მწვანე, ღორს—დამღა).
პური ფურნისა I ხარ. 1 გ. 5 კ.
› › II › › › 3½ ›
› › III › › › 3 ›
იგივე თორნისა I › › › 5 ›
› › II › › › 4 ›
› › III › › › 3½ ›
ლავაში ჯვ. მამ. I › › › 6 ‹
› › II › › › 4 ‹

### ტფილისის ბაზრები:

გაიყიდა მეიდნებზე: კოგზალზე,

| | ფუთი. | მ. | კ. | მ. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| ხორბალი საუკ. | 1 | 1 | 30 | 1 | 20 |
| ხორ. წითელი. . . | 1 | 1 | 15 | — | |
| ქერი . . . . . . | 1 | 1 | 1 | —5 | — |
| სიმინდი . . . . . | 1 | — | 80 | — | — |
| ფქვილი საფქვილისა. | 1 | 1 | 20 | — | — |
| › უფერო მდარე. | 1 | 1 | 10 | — | — |
| კომბოსტო. . . . | 1 | — | 30 | — | — |
| კარტოფილი. . . . | 1 | — | 65 | — | — |
| ხახვი . . . . . | 1 | — | 10 | — | — |
| თივა . . . . . . | 1 | — | 25 | — | — |
| ბზე. . . . . . . . | 1 | — | 28 | — | — |

შეშა რცხილისა 1 სრული საჟ. საწყობებში 38 მ., შეშა ნარევი 36 მ. ცხვარი თუშისა 3 მ. 50 კ.-დან 4-მდე, ცხვარი თათრული 3 მ. კაპეიკიდან 4 მ. 60 კ.-მდე, ძროხა და ხარი აქაური საკლავი 22 მ.-დან 45 მ.-მდე, ხარი შესაბმელი, 40 მ. კამეჩი 60 მ. კამეჩი საკლავი 26 მ.-დამ 34 მ.

### რუსეთის ბაზრები:

ფქვილი როსტოვში.

| ხარისხი. | | ხარისხი. | |
|---|---|---|---|
| № 0—9 მ. | 25 კ. | № 4—7 › | 25 › |
| № 1—8 › | 50 › | № 5—7 › | — › |
| № 2—8 › | — › | № 6—6 › | 75 › |
| № 3—7 › | 50 › | № 7—6 › | 25 › |

სიმინდი (ნოვოროსსიაში) 1 ფ. 54 კ. 41 კ. ქერი როსტოვში 66 კ. 62 კ.-მდე ნოვოროსსიაში 68 კ. 69 კაპიკამდე.

მოტანა ტფილისამდე 1 ფ. 87 კ. შაქარი იქვე ფუთი 5 მან. 70 კ. „ფეშხვნილი „ 4 „ 80 "

მატყლი ისპანიური, თეთრი ფ. 10 მ.—11 მ. 85 კ., მატყლი 10% შავ-ნარევი — ადგილობრივი—3 მ. 50 კ.—4 მ. 10 კ., გარეცხილი 8 მ. 37 კ. ისპანიის ჯიშის ცხვრის ტყავი თითო 2 მ. 60 კ.-მდე.

### მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა.

(მატარებელთა მიმოსვლა განწესრიგებულია პეტერბურგის საათის თანახმად, რომელიც 58 წუთით უკან არის ტფილისის საათზე.)

**სწრაფი მატარებელი № 1** ტფილისიდან ბათუმში გადის დილის 11 ს. 19 წ.; ბათუმში ჩადის საღამოს 9 ს. 41 წ.

**სწრაფი მატარებელი № 2** ბათუმიდან ტფილისში გამოდის 11 ს. 18 წუთ. ღამ., ტფილისში მოდის დილის 9 ს. 30 წ.

**საფოსტო მატარებელი № 3** ბაქოდან ტფილისში გამოდის ღამის 11 ს. 29 წ., ტფილისში მოდის საღამოს 5 ს. 34 წ.; ტფილისიდან ბათუმში გადის საღამ. 6 ს. 34 წუთ., ბათუმში მიდის დილის 7 ს. 14 წ.

**მატარებელი № 4** ბათუმიდან ტფილისში გამოდის 7 საათ. 59 წ. საღ., ტფილისში მოდის 8 ს. 42 წ. დილით.; თბილისიდან ბაქოში გადის დილის 10 ს. 05 წ., ბაქოში მიდის ღამის 5 ს. 16 წ.

**საფოსტო მატარებელი №** 74/75 ტფილისიდან ყარსში გადის საღამოს 9 ს., ყარსში ჩადის 12 ს. 56 წ. დღით.

**საფოსტო მატარებელი №** 76/77 ყარსიდან ტფილისში გამოდის ნაშუადღ. 3 ს. 29 წ., ტფილისში მოდის დილის 7 ს. 15 წ.

**სახალხო მატარებელი № 5** ბაქოდან ტფილისში გამოდის ნაშუად. 4 ს. 01 წ. ტფილისში მოდის 8 ს. 53 წ. დილ.; ტფილისიდან ბათუმში გადის დილის 9 ს. 32 წ., ბათუმში ჩადის ღამის 9 ს. 01 წ.

**სახალხო მატარებელი № 6** ბათუმიდგან ტფილისში გამოდის დილ. 7 ს. 50 წ.; ტფილისში მოდის საღამოს 7 ს. 15 წ.; ტფილისიდან ბაქოში გადის საღამ. 7 ს. 45 წ., ბაქოში ჩადის შუად. 12 ს. 10 წ.

მატარებელი № 7 ტფილისიდან ბორჯომში გადის დღისით 1 ს. 45 წ., ბორჯომში მიდის 6 ს. 50 წ. საღ.

მატარებელი № 8 ბორჯომიდან ტფილისში გამოდის 12 ს. 30 წ. ღამ., ტფილისში მოდის დილის 6 ს. 20 წ.

სამტრედიიდან ფოთში სამი სახალხო მატარებელი გადის დღეში: პირველი—ღამის 4 ს. 10 წ., მეორე—დღის 11 ს. 20 წ., მესამე—საღამოს 7 საათ. 26 წ., ფოთში მოდის—პირველი 6 საათ. 19 წ. დილით, მეორე—1 ს. 29 წ. დღ. და მესამე—საღ. 9 ს. 42 წ.

ფოთიდან სამტრედიაში გადის ორი მატარებელი: პირველი—ღამის 12 ს. 52 წ., მეორე—8 ს. 49 წ. საღ.; სამტრედიაში მიდის პირველი 3 ს. 20 წ. ღამის, მეორე—11 ს. 04 წ. საღ.

სახალხო მატარებელი № 33 რიონიდან ქუთაისს გადის დილის 9 ს.; ქუთაისში მიდის 9 ს. 25 წ.

საგარაკო მატარებელი № 15 ტფილისიდან მცხეთას გადის დილის 7 ს. 19 წ., მცხეთაში მიდის 8 ს.

საგარაკო მატარებელი № 16 მცხეთიდან ტფილისში გამოდის საღ. 9 ს., ტფილისში მოდის საღ. 9 ს. 38 წ.

საგარაკო მატარებელი № 18 გორიდან ტფილისში გამოდის საღ. 6 ს. 46 წ., ტფილისში მოდის 8 ს. 59 წ. საღ.

სახალხო და საქონლის მატარებელი № 57 შორაპნიდან ჭიათურაში გადის ღამის 2 ს. 20 წ.. ჭიათურაში მიდის 5 ს. 12 წ. ღამ.

სახალხო და საქონლის მატარებელი № 58 ჭიათურიდან შორაპანში გადის დილის 9 ს. 48 წ.; შორაპანში მიდის 12 ს. 40 წ. ღამ.

სახალხო და საქონლის მატარებელი № 59 შორაპნიდან გადის დღისით 4 ს.; ჭიათურაში მიდის საღ. 6 ს. 52 წ.

სახალხო და საქონლის მატარებელი № 60 ჭიათურიდან შორაპანში გადის 10 ს. 10. წ. საღ.; შორაპანში დი საღამ. 1 ს.

გამომც. გ. ტუნია

Дозволено цензурою. Тифлисъ, 26 Іюля 1900 г. სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—ს. განქის დიდი ქუჩა, № 27.